№ 198
კვირა, 18 სექტემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 198
კვირა, 18 სექტემბერი 1894

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის ფასი:**

| წელი | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 0 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი"

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც შირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მას მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—46)

რედაქცია «კვალისა» და «ჯეჯილისა» 18 სექტემბრიდან გადავა არტილერიის ქუჩაზედ კორპუსის პირდაპირ, გოლოვინის პროსპექტთან, თამამშოვის სახლში. (3—6—3)

**ქუთაისში**

ს. ი. ოცხელის სასწავლებელში და საყმაწვილო ბაღში მიიღება ბავშვები ორივე სქესისა 5—7 წლამდის 5 მან., 7—9 წლამდის 10 მ. (5—1688—5)

## ტფილისი, 18 სექტემბერი

—

ბ-ნი მინისტრი სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედებისა მოდის და ჩვენს საზოგადოებაში დიდი ლაპარაკია,—რა ვუთხრათ და რა ვთხოვოთ. ამის მითქმა-მოთქმაში მრავალი სხვა-და-სხვა ნაირი სათქმელი აღმოჩნდა და უფრო მრავალი სხვა და-სხვა გვარი სათხოვარი.

ჩვენა გვგონია, რომ ყველაზე უწინარეს თავდაპირველ საგნად უნდა წარუდგეს ბ-ნ მინისტრს ერთი ყველასაგან ადვილად დასანახი გარემოება და ყველასაგანვე თითქო დავიწყებული. ჩვენ ვამბობთ, დავიწყებული, იმიტომრომ როცა ლაპარაკია ჩვენში აქაურ მიწათ-მოქმედების ავ-კარგიანობაზე და უნუგეშობაზე, იგი გარემოება, რომელიც, ჩვენის ფიქრით, თავი და თავი მიზეზია ჩვენის მიწათ-მოქმედების უნუგეშობისა და უკან დარჩენისა, არავისაგან არ არის ხოლმე სახეში მიღებული და ამიტომაც გაჭირვების და სატკივარის წამალს იქ ვადებთ, საცა სატკივარის ბოლოა და არა სათავე, საცა შედეგია და არა მიზეზი. ეს იმასა ჰგავს, რომ კაცმა მღვრიედ მდინარე ნაკადული წყალისა ბოლოდამ ეცადოს დასწმინდოს ხოლმე და არა სათავიდამვე, თუ მაინცა და მაინც დაწმენდა უნდა.

ხსენებული გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენის მიწათ-მოქმედების გარს ყოველფერი გამოიცვალა და ამ ცვლილებას თავისდა გვარად უნდა შეეცვალა თვითონ მიწათ-მოქმედების გზა და მიმართულება ჩვენში. ეს არ მოხდა. მიწათ-მოქმედების სვლა ჩვენში ისევ ძველს საჭიროებას და მოთხოვნილებასა აქვს შეწონილი და შეფერებული და თუ ამას უწინ თავის პატივ-სადები საბუთი ჰქონდა, ეხლა ცარიელის ზარალის მეტი არა მოაქვს-რა და მიწათ-მოქმედება, მამულის ასე თუ ისე კეთება ხელს არ აძლევს მოჭირნახულეს იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა დღეს და შესაძლებელი ჩვენის ქვეყნის ჰავისა და მიწის მიხედვით.

მაშინ, როცა საქართველოს და ერთობ ამიერ-კავკასიას გარს მტრები ეხვია, როცა სამეზობლოდ მდგომარე ხალხი სამტროდ იყო დამოკიდებული, როცა საქართველო მტერთაგან შინ ჩაკეტილი იყო, გასვლა-გამოსვლის გზები ან სრულად შეკრული ჰქონდა, ან იმისთანა, რომ დიდის გაჭირვებით, ხარჯით და დროს დაკარგვით საქართველო, არამც თუ სხვა ქვეყნებს, თავისს საკუთარ ნაწილებსაც-კი თვალს და ხმას ძლივ მიაწვდიდა ხოლმე, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი მიწათ-მოქმედება უნდა ძალა-უნებურად მიქცეულ ყოფილიყო მასზე, რომ ყველაფერი თავისი საკუთარი ჰქონიყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა საალებ-მიცემოდ ჭირნახულის გაჩენას ფიქრადაც ვერ გაიტარებდა, რადგანაც ალებ-მიცემობა თხოულობს მშვიდობიანს, იეფს და მსწრაფელ გზასა საქონლის გადასატან-გადმოსატანად.

ამ გარემოების ძალ-მომრეობით ჩვენი მართლა-და მდიდრად შემკული ქვეყანა იძულებულ იყო რაც საცხოვრებლად ადამიანისათვის საჭიროა, შინ თვითონვე ეკეთებინა და მიწისაგან ამოეღო, თუ არა-და, მშიერი და შიშველი დარჩებოდა. მაშინ არამც თუ საჭირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვქონოდა და სხვა საჭირო მარცვლეულობა, არამედ სამოსელიც-კი. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც, ოც-და ათ წლის წინად ერის სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მაქო ფეიქრისა არ დაგენახათ, მატყლის საჩეჩელი სამალე ძაფისათვის არა ყოფილიყო გამართული თითქმის თვითვეულის მცხოვრების დერეფანში, ხშირად არ შეგხვედროდათ სამღებროები ნაქსოვის, თუ ნაკეთების სალებავად და სხვა ამისთანა წვრილმანი საოჯახო, საშინაო მრეწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონიოს ყველაფერი.

ალებ-მიცემობის მოწყალებით ეს წვრილმანი საოჯახო და საშინაო მრეწველობანი გაუქმდა, რადგანაც დამშვიდებამ ჩვენის ქვეყნისამ, კარგმა გზებმა სამეზობლოდ მისვლა-მოსვლისამ ალებ-მიცემობას სახსარი მისცა უფრო იეფის, უფრო კარგის საქონლის მოტანისა და შინაურმა წვრილმანმა მრეწველობამ მოტანილს საქონელს ვერც ფასში და ვერც სიკეთეში ცილობა ვერ გაუწია. დაანება ჩვენმა ქვეყანამ ამ წვრილმანს მრეწველობას თავი და ირჩია ნაწარმოებთა ყიდვა სხვისაგან, იმიტომ-რომ საეკონომიო სფეროში წინამძღვრობს მარტო სიიეფე და სიკეთე სასყიდელ საქონლისა და სხვა არა-რა.

ამ გარემოებამ და ამასთან იმანაც, რომ სახელმწიფო ხარჯს წინად მიწის მოსავლით იხდიდა ხალხი და ეხლა ფულად სახდელი გაუხდა, ის მოიტანა, რომ ფულის შოვნა მეტად გაძლიერებულ საჭიროებად შეიქნა ჯერ ხსენებულ მრეწველობათა ნაწარმოების სასყიდლად და მერე სახელმწიფო

# ფელეტონი

—

**სიმღერა**

(ვუძღვნი ქ-ნს მარიამ ძნელაძისას)

აჟღერდი, ჩანგო, მიამბე:
ქარ-ბუქის ზუზუნ-ზრიალი;
ველის ყვავილთა ბიბინი,
ტყეთა და ბუჩქთა შრიალი;
დრუბელთა არეულობა,
ცის ჭექა-ქუხილ-გრიალი;
ქარიშხლის მძლავრი შხაპუნი,
ღვართქაფის დენა-ღრიალი...
დასძახე, ტურფავ, მომხიბლე,
მიტირე გრძნობა ტიალი,
ამივსე გული შხამ-გესლით,
მარჩობდეს ცრემლთა თქრიალი;
მეუფე წამება მტერთაგან,
ბედის უკუღმა ტრიალი...
ამოდი, ხმალო, საომრად,
ტყვიავ, დაიწყე ზზრიალი!..

დ. მაჩხანელი

—◆◆—

**ინგლისის ჟურნალ-გაზეთების აზრი**

Miss Wardrop-ის მიერ ნათარგმნ ქართულ საერო ზღაპრების შესახებ.

ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა დიდის თანაგრძნობით დაუხვდა ინგლისურს ენაზედ ნათარგმნს ქართულს საერო ზღაპრებს, გამოცემულს Miss M. Wardrop-ის (ვარდროპის) მიერ. მიხარიან, რომ ამ გვარად წაახალისეს და მოუწონეს შრომა ახალგაზდა მეცნიერს ქალს; მიხარიან განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ამ გარემოებამ საზოგადოების ყურადღება თქვენის მშვენიერ ქვეყნისაკენ მოაქცია.

დიდად სასიხარულო მოვლენაა, როდესაც სიჭაბუკე მარჯვედ იწყებს თავისს საზოგადოებრივსა და სამეცნიერო მოღვაწეობას; ხოლო როდესაც ეს გამარჯვება, ეს წარმატება წილად ხვდება ახალგაზდა ქალს, რომელსაც თავისი სახელი ერის გულისათვის საყვარელ სულიერ ცხოვრებისა და ინტერესისათვის დამოუკიდებია,—ეს საზოგადოდ თავისდა თავადვე სანუგეშო მოვლენა უფრო ძვირფასი ხდება. მხცოვანებას იგი იმედს, რწმენას უნერგავს მერმისისას, ხოლო სიჭაბუკეს მხნეობას, შრომის სურვილს, დიდებისა და სახელის მოპოვების მისწრაფებას უღვიძებს... ზნეობის მოძღვარნი, მორალისტები ამბობენ, რომ დიდებისა და სახელის მოპოვების სურვილი, სახელისათვის შრომა ერთ გვარი პატივ-მოყვარეობა და მედიდურობააო. იქნება მართალსაც ამბობდნენ ზნეობის მოძღვარნი... ხოლო მე-კი, ცოდვილი, ვამბობ: ახალგაზდობა მშვენივრებაა; დიდება, სუყვარული და თანამემამულეთა პატივის-ცემა — დიდად ზნეობრივი სიტკბოებაა... მაშ გაუმარჯოს სიჭაბუკეს, ახალგაზდობას, რომელსაც თავისი ზნეობრივი სიტკბოება, თავისი სურვილი და წადილი დიდებისა და სახელის მოპოვებისა სამშობლოს ინტერესთან, თვისთა თანამემამულეთა პატივისცემასთან დამოუკიდებია.

შემინდეთ, მკითხველო, რომ საგანს გადავცდი, მაგრამ რას იზამ, რომ მეტად გამახარა და მასიამოვნა ინგლისის ჟურნალ-გაზეთების აზრმა, თვით წიგნისა და მთარგმნელის შესახებ გამოთქმულმა. Miss M. Wardrop-ს დიდად აქებენ ინგლისურის ენის ისე მშვენივრად ცოდნისათვის, ამბობენ, რომ იგი ბევრს ჩვენს იმედს განახორციელებსო, იგი კიდევ გვაღირსებს თავისს ნაშრომს, თავისს ნამოქმედარსაო. მრავლად გამოთქმულ აზრთაგან დავასახელებ მხოლოდ ორს აზრს — ოქსფორდის უნივერსიტეტის სლავისტისა და ფოლკლორისტის პროფესორის მორფილისას და განსაკუთრებულ გამოცემის „Notes and Queries"-სას. ამ ჟურნალის 11 სექტემბრის №-ში სწერია:

„დაიწყო ბეჭდვა გრიმმის ბიბლიოთეკისა და პირველ წიგნად გამოვიდა კრებული ქართულ საერო ზღაპრებისა [1]). დასაწყისი მშვენიერია, სულითა და გულით ვეგებებით და ვისურვებთ მისთვის სრულს წარმატებას. საუცხოვო კრებულია. წავიკითხეთ ეს ზღაპრები; ისევ ჩვენი ძველი მეგობრები არიან და ქართულს, მეგრულსა და გურულს ტანისამოსში გამოწყობილთ ისეთისავე სიამოვნებით წაიკითხავთ, ისევე ალტაცებაში მოგიყვანთ იგი... ეშმაკი მოტყუებულია, სული სხეულს ჰშორდება და სხვა, გარეშე საგანში იკეთებს ბინას, გმირნი ბედისწერით მათდა წილად ნახვედრს სიგმირესა სჩადიან, გმირნიქალნი დიდს განსაცდელს გამოივლიან. და ეს ზღაპრების კრებული კვლავ გვახსენებს ერთს ძველს საკითხავს— საიდგან არის ეს ზღაპრები? სად აღმოცენებულა? რა მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის? განსაკუთრებით საყურადღებოა ზოგიერთი წვრილმანი... ხვთისავარის (Ghvtisavari) ამბავს ეპიკური ხასიათი ეძლევა და დიდად საყურადღებოა Miss Wardrop-მა გვაჩვენოს, შედგა იგი, თუ განაგრძობს ამ ზღაპრის განვითარებას[2]). ინგლისური ენა თარგმნისა დიდად სადაა, უკრიმანჭულო და ძალიან უხდება შინაარსს. მით უფრო დიდის სიამოვნებით მივეგებებით ამ კრებულს, რომ იგი პირველი მაგალითია ქართულიდგან გადმოთარგმნისა".

„მრავალმა მოგზაურმა აგვიწერაო, ამბობს პროფესორი მორფილი [3]), კავკასიისა და იმის მკვიდრთა მშვენიერება. მაგრამ ეხლაც-კი იმ ეროვნებათა სხვა-და-სხვა ენისა ჩვენში არა იციან-რა, ბროსსეს, ცაგარელისა და უსლარის შრომათა მიუხედავად. ამ ენათა შორის მხოლოდ ქართულს ენას, და იმის შტოებს მეგრულს, ლაზურსა და სვანურს, აქვს ლიტე-

[1]) Georgian Folk-Teles. Translated by M. Wardrop. Edited by Nutt.

[2]) ამ საქმის მცოდნე ქართველებისათვის უფრო ადვილი იქნება ამის დამთავრება. საჭიროა მხოლოდ შედარება რამდენისამე ვარიანტისა.

[3]) „The Academy". August 4. 1894.

ხარჯის სახდელად. ფულის საჭიროებას, რასაკვირველია, სულ სხვა გზა უნდა მიეცა ჩვენებურ მიწათ-მოქმედებისათვის, რომელიც დღეს ერთად-ერთი სახსარია, ერთად-ერთი წყაროა, ერთად-ერთი საეკონომიო მოქმედებაა ცხოვრების გასაძლოლად ჩვენში.

შემდეგ ვეცდებით გამოვარკვიოთ, ჩვენმა მიწათ-მოქმედებამ შეუფერა თავისი გზა ამ საჭიროებას, თუ არა.

# დეპეშა

16 სექტემბერი

**ვენა.** აქ დაიწყო დღეს მოქმედება სოციალურ პოლიტიკის კონგრესმა. კონგრესში მონაწილეობას იღებენ მოსკოვისა და კიევის უნივერსიტეტის პროფესორები. პრეზიდენტად ამორჩეულმა ბერლინის პროფესორმა შმოლლერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ მხნედ უნდა წინა აღვუდგეთ სოციალ-დემოკრატიის აგიტაციასაო.

# ახალი ამბავი

⁂ დღეს, დილის 10 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იქმნება ქართულ დრამატიულ წევრთა წლიური კრება. კრებაზედ, სხვათა შორის, გადასწყვეტენ მომავალ ზამთრის სეზონში ქართულ წარმოდგენების გამართვის საქმეს.

⁂ რადგანაც ოქტომბერში მის იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის და პრინცესსა ალისას ქორწინება უნდა იყოს, პეტერბურგში დიდძალი სხვა-და-სხვა თხოვნა გაუგზავნიათ მოწყალების შესახებ. ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორს მოუვიდა პეტერბურგიდგან დაბრუნებული ორასამდე თხოვნა. ეს თხოვნანი დაუბრუნებიათ იმისთვის, რომ პოლიციამ ცნობები შეჰკრიბოს მთხოვნელთა შეძლების შესახებ და გაჰგზავნოს პეტერბურგში.

⁂ ჩვენ გვაუწყებენ, რომ ტფილისში გამოჩენილა ვიღაც ექიმბაში, გვარად ფიშერი, რომელსაც ავადმყოფები ძლიან ეტანებიან თურმე, მაგრამ სენის შესუსტების ნაცვლად, უფრო უარესად ერევათ. მაგალითებრ, ერთს ასეთს ამბავს გვიამბობენ: ამას წინად ავად გაუხდა თურმე სიდედრი მადერს, რომელსაც მკლავი დაუსივდა და დაუჩირქდა. მოიყვანეს ზემოხსენებული ექიმბაში და იმან პირობა მისცა ორს დღეში განკურნება ავადმყოფისა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ავადმყოფი თანდათან უარესად შეიქმნა. მაშინვე მოიწვიეს თურმე ექიმები, მაგრამ გვიანღა იყო, სისხლი მოსწამვლოდა და ეხლა სიკვდილის პირად არის საბრალო დედაკაცი მიხეილის საავადმყოფოში. კარგი იქნებოდა, რომ, ვისიც ჯერ არს, მიექცია ყურადღება ამ ამბისათვის და აეკრძალა ექიმობა ზემოხსენებულისთანა ვაჟბატონებისათვის.

⁂ ერთს უცნაურს ამბავს გვაუწყებენ: მიხეილის საქალაქო საავადმყოფოს უფროსს ექიმს ბ-ნს გოლბეკს განკარგულება მოუხდენია, რომ თუ რეცეპტს ჩემი გვარი არ ეწეროს, ნურც ერთს იმ წამალს ნუ მისცემთ საავადმყოფოს აფთიაქიდგან, რომელიც ამ ნუსხაშია მოხსენებული, და ამასთან წარგზავნილია ოცდა-ათამდე წამლის სახელის ნუსხა. საკვირველი ის არის, რომ ამ წამლებში ზოგიერთი სრულიად უბრალო, თუმცა დიდად საჭირო და ხშირად გამოსაყენებელი-კი, და იაფის ფასისა არის. მაგალითებრ, აღკრძალული აქვთ ექიმებს შემდეგის წამლების გამოწერა: ქინაქინა, Acid. boricum, Creta alba (ცარცი), ვაზელინი, დერმატოლი, არისტოლი, სასაქმებელი ზეთი, იოდოფორმა, Salol-ი და სხ. უფროსის ექიმის ასეთის განკარგულების გამო დიდს გაჭირვებაში არიან მორიგი ექიმები, მეტადრე ღამე, როდესაც ავადმყოფს სჭირდება რამე. საინტერესოა ვიცოდეთ, რას გამოუწვევია ასეთი განკარგულება?!.

⁂ სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოზის მოადგილე მის ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი იერემია გუშინ-წინ ტფილისს ჩამოვიდა ეჩმიაძინიდგან.

⁂ ამას წინად უსახელო საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას ნება მოგვეცით სასახლის ქუჩაზე ცხენის რკინის გზის მეორე ლიანდაგი გავიყვანოთო. ამ თხოვნაზედ გუშინ ქალაქის გამგეობამ უარი გამოუცხადა უსახელო საზოგადოებას.

⁂ გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლოში ფიცი მიიღეს საპატიო მომრიგებელ-მოსამართლეთა.

⁂ გუშინ პირველ განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია შვიდის მეპურის საქმე, რომელნიც ახალის ნიხრის დამტკიცების შემდეგ უვარგისს პურს აცხობდნენ და ჰყიდდნენ. მოსამართლემ ერთი სთვის ვადით ციხე გადაუწყვიტა შვიდივე მეპურეს.

⁂ პარასკევს, 16 სექტემბერს, სანიტარო მზრუნველებს სხდომა ჰქონდათ ქალაქის გამგეობაში ქალაქის მოურავის ბ-ნ იზმაილოვის თავმჯდომარეობით. სხვათა შორის სასანიტარო მზრუნველთა კრებამ დაადგინა, რომ აუკრძალოს ბანაობა და სარეცხის გარეცხა მტკვარში კუკიის ხიდის ზემოდ და ამისთვის დაუნიშნოს ადგილი ავლაბრის ხიდთან რიყეზედ. ამას გარდა ყველა სასანიტარო მზრუნველმა წლის ბოლოს უნდა წარუდგინოს ქალაქის გამგეობას ანგარიში თავისს მოქმედებისა.

⁂ გუშინ-ღამ ტფილისში ჩამოვიდა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის იმპერატრიცა მარიამის კანცელარიის უმთავრესი გამგე გენერ.-ადიუტ. ნ. ა. პროტასოვ-ბახმეტიევი.

⁂ ბაგრატ მუნთოევი, რომელმაც 13 სექტემბერს დიდ ნიაღვრის დროს ნიკოლოოზის ქუჩაზედ დარჩობას გადაარჩინა ხარატის მიქონის 14 წლის შვილი, ადმინისტრაციამ ოქროს მედალზედ წარადგინა.

⁂ ბუხარის ემირი მირ სეიდ-მირ-აბდულ-ახად-ხანი გუშინ გამოეთხოვა კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ-ადიუტანტ შერემეტევს, მის თანაშემწეს გენერალ გრაფ ტატიშჩევს, გუბერნატორს თავ. შერვაშიძეს, ქალაქის მოურავს იზმაილოვს, პოლიც-მეისტერს მასტიცკის, კომენდანტ გენერალ რეიტერს და ნაშუადღევის 4 საათზე თავისის ამალით საგანგებო მატარებლით ბაქოს წავიდა.

⁂ სასანიტარო მზრუნველობის მოღვაწეობას ერთი დაბრკოლება დაჰხვედრია. მაგალითებრ, კავკასიის რკინის გზის ერთის ნაწილის უფროსმა ინჟენერმა თავ. ანდრონიკაშვილმა, ქალაქის სასანიტარო მზრუნველს და პოლიციას ნება არ მისცა რკინის გზის სადგური გაესინჯათ, იმ მიზეზით, რომ რკინის გზის სადგურის, შენობანი განსაკუთრებულ განყოფილებას რკინის გზას ეკუთვნის და ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობის დადგენილებათ არ ექვემდებარებაო. თავ. ანდრონიკაშვილის ამ გვარ აზრს ქალაქის მოურავი ვ. ა. იზმაილოვი არ დასთანხმდა და ტფილისის გუბერნატორს მოახსენა, რომ განკარგულება მოახდინეთ რკინის გზის მოხელენი არ აბრკოლებდნენ სასანიტარო მზრუნველთ და ხელს არ უშლიდნენ აღასრულონ თავისი მოვალეობა, რომელიც კანონითვე აქვთ მინიჭებულიო.

⁂ ერთმა მზრუნველთაგანმა სამოსწავლო ოლქისამ წარუდგინა საერო განათლების მინისტრს განსახილველად თხოვნა იმის შესახებ, რომ წვიმის დროს ნება დაერთოთ გიმნაზიის მოწაფეთ იხმარონ გუტტაპერჩის წამოსასხამი, რომელიც არც ძვირია და წვიმისაგანაც დაიფარავს ყმაწვილებსაო. ბ-ნმა მინისტრმა თხოვნა შეიწყნარა და ეს ამბავი საყოველთაო ბრძანებით აცნობა ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთ და მათ შორის კავკასიის ოლქისასაც. („ნოვ. ობოზ.“).

⁂ ამას წინად გამგეობას ტფილისის ქალაქის „ნაძალადევლებმა“ საერთო თხოვნა წარუდგინეს, რომელზედაც 13 კაცს უწერია ხელი. ესენი სთხოვენ გამგეობას, რომ ის ადგილი, სადაც ჩვენა ვართ დასახლებულნი, უწინ სანაგვე იყო, ღერმახვილ ბალახით დაფენილი, და როცა ჩვენ დავსახლდით გავწმინდეთ და გავასუფთავეთო. ამიტომ წყალობა მოიღონ და ჯერ-ჯერობით თავი დაანებონ ჩვენის შენობების დანგრევასო. დანიშნეთ კომისია და რა პირობებიც გამგეობას ჰსურდეს, იმ პირობებით მოურიგდებითო. ამ თხოვნას ქალაქის მოურავმა, გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს სიტყვით, წარაწერა თურმე: „გადაეცეს ქალაქის გამგეობის და „ნაძალადევლების“ ურთიერთობის განმაწესრიგებელ კომისიასაო“.

ამ გვარად ამბობს გაზეთი, სანამ ეს თხოვნა კომისიას გარდაეცემა და შემდეგ ისევ ქალაქის გამგეობა განიხილავს, მანამდის ქალაქის ვექილი კიდეც მორჩება თავისს საქმეს და ერთ 13 კაცი იქმნება დანდობილი, რომელნიც ალბად ძალიან შეწუხებულები არიან, თუ რომ ქალაქის გამგეობის ყოველ გვარ პირობის აღსრულებასაც კი კისრულობენ.

⁂ ხუთშაბათს, 15 სექტემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოსა და განსაკუთრებულ კომისიის კრება შესდგა. კრებამ მთელი დრო განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის იმ საჭიროებათა გარჩევას მოანდომა, რომლებიც აუცილებლად უნდა მოხსენდეს, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, როდესაც იგი ტფილისში ჩამოვა. კრებამ გადასწყვიტა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს გააგებინონ შემდეგი საჭიროებანი: დასაარსებლად საჭიროა საცდელი მინდვრები; ღვინის წარმოების საჭიროებანი და ამასთანავე აქციზის შემოღება; მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებულთან სასოფლო მეურნეობის საბჭოს დაარსება. სა-

---

რატურა, რომელიც მე-VIII საუკუნიდგანვეა დაწყებული. ძალიან ბედნიერი აზრი დაჰბადებია Miss Wardrop-ს, მოუწადინებია რა ჩვენი ამ ნაკლებად ცნობილ ქვეყნის ფოლკლორთან, ზღაპრებთან და საერო ლიტერატურასთან, გაცნობა. მამაცადაც შეუსრულებია თვისდა ნაკისრი საქმე. მამაცადაო, ვამბობთ, რადგან ქართული ენა სავსეა ათასის სიძნელით; ამ ენისთანა სიძნელეს ზმნების გარჩევის მხრივ მხოლოდ ბასკების [4]) ენაში თუ შეჰხვდებით. მართლაც მსგავსება ამ ორ ენის ფორმებს შუა დიდია, თუმცა სიტყვებში საერთო არა არის-რა“.

შემდეგ პროფესორი ორიოდე სიტყვას ამბობს ქართულის ენისა და ჩვენის ზღაპრების სხვებთან მსგავსების შესახებ, განსაკუთრებით აღმოსავლეთისა და რუსულ ზღაპრებთან, ამ ზღაპრების სხვებთან Miss Wardrop-ის მიერ მარჯვედ შედარებისა გამო, და თავისს წერილს შემდეგის სიტყვებით აბოლოვებს:

„იმედი გვაქვს და დიდი იმედიც, რომ Miss Wardrop-ი აღასრულებს დაპირებას, ამ ზღაპრების კრებულის წინასიტყვაობაში გამოთქმულს, და დაჰბეჭდავს „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანს, ამ მე-XII საუკ. პოემისას, რომელისაც ეხლაც აღტაცებით კითხულობენ ქართველები. ამ პოემისა ევროპაში სულ არა იციან-რა, თუ ანგარიშში არ ჩავაგდეთ გერმანულად შემოკლებული თარგმანი ლეისტისა“.

პროფესორ მორფილისა და სხვათა იმედი უეჭველია განხორციელებული იქნება. Miss Wardrop-ი ძალიან გულმოდგინედა ჰმუშაობს თავის თარგმანისათვის, მაგრამ ამ პოემის გადათარგმნას დიდი შრომა და დრო უნდა. ამასობაში-კი, როდესაც მოიცლის ხოლმე, ეს ყმაწვილი ქალი თანამედროვე ქართულს ლიტერატურასაცა სწავლობს. თუ არა ვსცდები, იგი დიდად აფასებს ილია ჭავჭავაძის პოეზიის მშვენიერებას და განსაკუთრებით-კი მისი სიმართლითა და ღრმა პოეზიით აღამიანის მხიბლავი პოემა „განდეგილი“ მოსწონს.

კერძოდ ძალიან მესიამოვნებოდა, უკვდავ შოთას პოემამდე რომ „განდეგილი“ დაიბეჭდოს ინგლისურს ენაზედ. მკითხველმა-კი არ იფიქროს, ვითომც მე, ჟურნალ „Сѣверный Вѣстникъ“-ის ვიღაც ველურ მჯღაბნელსავით რაღაც ვითომდა აწინდელ ხელოვნების მოთხოვნილებათა და სულელურ შედარებათა საფუძველით, მინდოდეს შემცირება ამ დიდებულ პოემის ღირსება-მშვენიერებისა. ის პოეტი, რომელიც ერთ ნახევარი საუკუნით ადრე სცხოვრობდა დანტეზედ, სამის საუკუნით ადრე არიოსტოზედ, რომელმაც მხოლოდ ფანტასტიური პოემა „Rolando Furioso“ შეჰქმნა, და თითქმის ოთხის საუკუნით ადრე ტორკვატო ტასოზედ, რასაკვირველია, ისეთივე დიდებული პოეტი იყო, როგორნიც ეს იტალიის მწერალნი არიან. ინგლისის სალიტერატურო კრიტიკა შეიძლებს და ღირსეულად დააფასებს თვით რუსთაველის შემოქმედებით ნიჭის ძალასაც და თქვენის ერის განათლების ხარისხსაც იმ შორეულს ხანაში, რომელსაც ისტორიკოსები სახელად „შუა საუკუნეთა ევროპის გონებრივ ცხოვრების წყვდიადს“ უწოდებენ.

დიაღ, ეს ასეა. რუსთაველი დიდებულია. მეცნიერება და მცოდნენი ღირსეულს მსჯავრს დასდებენ. მაგრამ ჩვეულებრივი მკითხველი, ჩვენთა დღეთა განათლებული ბრბო უფრო გაიგებს, უფრო გულ-მოსახვდომად მიაჩნევს ამ განდეგილს, ამ გულმართალს დაყუდებულს ადამიანს, რომელიც წინააღმდეგობას ვერ უწევს ადამიანის აგებულების ძირეულ მოთხოვნილებათ, ყოვლის დამძლევსა და ყოვლის განმაცხოველებელს სიყვარულს. «განდეგილი» დიდად მშვენიერი ნაწარმოებია, ვინაიდგან შიგ ჰჟღერს სიმი ელლინიზმისა, ე. ი. ცხოველის ორგანიზმისა, იმის ჰარმონიით სავსე ცხოვრებისა და ამ ცხოვრებით სიტკბოების უფლებათა დაცვისა... იმის ჰარმონიულს ლექსში სცემს დატანჯული გული აწინდელის კაცობრიობისა, ასკეტიზმისა და იუდაიზმის [5]) სატიკ ძალ-მომრეობისაგან ახლად განთავისუფლებულისა. და განათლებული კაცობრიობა ღირსეულად და ფასებს კიდეც დიდად მშვენიერს ნაწარმოებს ი. ჭავჭავაძისას. „განდეგილის“ შინაარსისა ბევრი რამ არის დაწერილი ყოველს ლიტერატურაში. საკმარისია დავასახელოთ ფლობერის „Tentution de st. Antoine“-ი, ზოლას „La Taute de l'abbé Muret“-ი, მაგრამ „განდეგილს“-კი თავისის სისადავით, მოკლე-სიტყვაობით და უმთავრესად-კი განდეგილისა და ყმაწვილის ქალის საუბრის მომხიბვლელ გულ-უბრყვილობით ხსენებულ მწერალთა ნაწერებს ვამჯობინებ.

აი, კიდეც ამიტომ მინდა, რომ ჯერ „განდეგილი“ გადმოითარგმნოს ინგლისურს ენაზედ. კაცობრიობის პოეზიის ძირეული შინაარსი სიყვარულია და ადამიანი დიდადაც აფასებს ამ სიყვარულის უფლებათა დაცვას და იმის ძლიერები შემკობასა და ქება-დიდებას. „განდეგილში“-კი ისე ცხოვლად არის შემკობილი ეს გრძნობა, როგორც ცხოველ-მყოფელია წმინდა ჰაერი მყინვარისა; ისევე ლამაზად არის აწერილი, როგორც ლამაზია და მშვენიერი თვით მყინვარის ყინულად ქმნილნი წვიპა-თოვლნი, მაისის მზით გაბრწყინვებულნი.

W. Vasiani

---

[4]) ბასკები რიცხვით მრავალნი არ არიან (400,000), მთიელი ხალხია, სცხოვრობს ისპანიის ჩრდილოეთს მხარეს და ისპანიელებისაგან მოდგმითა და ენით განირჩევა.

[5]) სიტყვებს „ელლინიზმსა“ და „იუდაიზმს“ იმ აზრით ვხმარობ, რა აზრითაც ჰ. ჰეინე ამბობდა ხოლმე.

ბალხნო სკოლის საჭიროებანი და აგრეთვე იმის შესახებ, რომ მთავრობისაგან 3,000 მან. მიეცეს „კავკასიის სასოფლო მეურნეობის“ გაზეთს ხარჯის დასაფარავად; ბალხნობა გაუმჯობესდეს კავკასიაში და მოხსენება კომისიასა შარშანდელ მოუსავლობისა და, საზოგადოდ, სოფლის მეურნეობის გაჭირვებათა შესახებ. გარდა ამისა, საპჭომ გადასწყვიტა იშუამდგომლონ მინისტრის წინაშე, რომ ორი აგრონომი იქმნეს გამოგზავნილი, რომელნიც სამინისტროს სამსახურში უნდა იყვნენ, რათა ჩვენი ქვეყანა შეისწავლონ ეკონომიურის მხრივ და საცდელი მინდვრების გამგედაც იყვნენ. დასასრულ, რომ ტფილისის მახლობლად მყოფი დიდუბის სახელმწიფო აგარაკი საცდელ მინდვრებისათვის გადაიდოს.

*** ოფიციალური ცნობებიდგან სჩანს, რომ 11 სექტემბრიდგან 13-დის ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში, ხოლერის მსგავსი სენით სამი ავადმყოფი მიუყვანიათ:

1. ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის მცხოვრებელი, მებალე დიმიტრი კიკოლიშვილი, რომელიც მე-6 განყოფილებაში, ორთაჭალის, მანთაშევის მამულში სცხოვრობდა.

2, იმავე გუბერნიის რაჭის მაზრის მცხოვრებელი ქალი ბარბარე გოთვაძე, რომელიც მეხუთე განყოფილებაში, ანჩისხატის ქუჩაზე, ვასილევის სახლში მოსამსახურედ იყო.

3, ოსმალეთის ქვეშევრდომი ხალგათ-მარქაროვი, რომელიც სცხოვრობდა მე-9 განყოფილებაში, მადათოვის კუნძულზედ და თავ. მუხრანსკის შენობაში მუშაობდა.

*** წარსულ სამოსწავლო წელს ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში 18 კაცმა დაამთავრა სწავლა კერძო მიწის მზომელის ხარისხით. ამათში ქართველები არიან: თავ. იერემია ავალიშვილი, იოსებ მარაშვილი, თეოფ. მიმინაშვილი, ვლადიმ. ფურცელაძე და ს. რამანოვი (ჯილდოს მიმღები). ამ სამოსწავლო წელიწადს 56 კაცი სწავლობს. ესენი კლასების კვალობაზედ არიან დანაწილებულნი: I კლასში 20-ია, II კლ. 24 და III კლ. 12. 16 ქართველია, 28 რუსი, 10 სომეხი, 1 პოლონელი და 1 მაჰმადიანი. 5 სექტემბერს ამ სასწავლებელში, პარაკლისის გადახდის შემდეგ, სწავლა დაიწყო. („კავკაზი“).

*** ამ დღეებში გამოვა მე-IX №-რი ჟურნალ „მოამბისა“. აი შინაარსი ამ №-რისა: I „კარმელა“, მოთხრობა ედმონდ დე ამიჩისა, თარგმანი გრ. ყიფშიძისა; II „მსხვერპლი“, მოთხრობა დავ. კლდიაშვილისა; III „ნადირა“, მოთხრობა ყანნა ლიოლაჟუასი, თარგმანი სალომინაველისა; IV „საოცარი სიზმარი“, რომანი ე. ბელლამისა, თარგმანი დ. გიორგობიანისა (დასასრული); V „ნუგეშა მგოსნისა“, ლექსი ვაჟა ფშაველასი; VI „აივენგო“, რომანი ვალტერ სკოტტისა, თარგმანი (გაგრძელება); VII „ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში“ პოლ ბურჟე.—წერილი გ. აბაშიძისა (დასასრული); VIII „ღვინის დაყენება“.—ღვინის სხვა-და-სხვა გვარად დაზიანება და დასნეულება; მისი მოვლა და მოკეთება.—პროფესორი გ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება); IX „ემილ ლეკეს მოგზაურობა კავკასიაში“, შენიშვნები და შთაბეჭდილებანი, თარგმანი გ. ზ—ძისა; X „ინდოეთი“, ე. ლამანსკის თხზულებიდგან; ქრონიკა: XI «შინაური მიმოხილვა.—აზნაურობას რა უშველის? აზნაურების სიმრავლე ჩვენში.—მისი მიზეზი, მისი ავი და კარგი.—მაზანდა.—ღორღებს რამ გაამდიდრა.—მართლა უმეცრობა, ვითომ, ჩვენი აზნაურობის მდგომარეობა?—მისი ნამდვილი სიმდიდრე—რამდენი გზა და ღონისძიება აქვს შველისა?—ერთი ახალი დაწესებულება, მისთვის გამოსადეგი.—გვარში ურთიერთის შველის გამართვა.—რა დედა აზრი უნდა ედვას აზნაურობის მეცადინეობას?—წოდებათა აშლა და შეტაკება.—«მოდის» კუდები.—ნამდვილი წყლული.—ნ. ნიკოლაძისა; XII «უცხოეთის მიმოხილვა იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან», ნ. ნიკოლაძისა.

*** 16 სექტემბერს წყაროს უბანში მცხოვრებელმა გასათხოვარმა ქალმა 17 წლის პრასკოვია ჩეტვერიკოვისამ თავის მოკვლა განიზრახა და მარცხენა მუძუში რევოლვერი დაიცა. ქალი ცოცხალ-მკვდარი საავადმყოფოში გაჰგზავნეს; ჩეტვერიკოვისამ ბარათი დასტოვა, რომელშიაც სწერს, რომ ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთო.

## დამაკვირდი

გულის-თქმა ხშირად დიდად ხელოვანს კაცსაც გაასულელებს და სულელს გაახელოვნებს.

ლაროშფუკო

**

ერთი კანონია, რომლის გადახდომა შეუძლებელია: იგია ბუნების კანონი.

მოლეშოტი

**

ქმობის უარ-ყოფა განათლებულ კაცისაგანაც არის მოსალოდნელი, ხოლო უარ-ყოფა ქმობისა მხოლოდ უმეცარს შეუძლიან.

ბუასტი

## კორესპონდენცია

**სოფ. ამბროლაური** (რაჭის მაზრა), 14 სექტემბერი. ბ-ნს ვ. ქიქინაძეს*) თავისს მოკლე ცნობებში ამბროლაურის, წესისა და ველევის საზოგადოებათა შეერთების და საშუალო ალაგის ამორჩევის შესახებ, ცოტა არ იყოს გადაუხვევია სიმართლის კვალისათვის და ამისათვის მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს, სიმართლე აღვადგინო, მაგრამ ისე-კი, რომ არც ერთი საზოგადოების მომხრეობა და გადახრა არ იყოს თითოეულს ბწკარში, როგორც ბ-ნ ვ. ქიქინიძის მიერ მოწერილს წერილშია.

მართალია, როგორც ბ-ნი ვ. ქიქინაძე იწერება, პირველად წესისა და ამბროლაურის საზოგადოებანი შეაერთა მაზრის უფროსმა, კიდეც ჰკითხა შეერთების სურვილი, მაგრამ მარტო წესის საზოგადოებისათვის-კი არ უკითხავს. განა ეს შესაძლოა, რომ მარტოკა ერთს მხარეს ეკითხოს და მეორეს არა, როცა ორთავ მხრისათვის ერთ გვარად საინტერესო და საჭირო საგანი ეწყდება? ორივეს ჰკითხეს შეერთების სურვილი და ორივე მხარემ შუა ალაგად სოფელი ხიმში ამოირჩია სკოლისა და სასოფლო სამმართველოს შენობისათვის. მაგრამ ამ გადაწყვეტილების რამდენისამე ხნის შემდეგ, ველევის საზოგადოებამაც ისურვა ამბროლაურისა და წესის საზოგადოებებთან შემოერთება. რასაკვირველია, ამის შემდეგ ხელ-მეორედ აღიძრა ლაპარაკი, საშუალო ალაგი ამ სამის საზოგადოებისა სად იქნებაო. უნდა მოგახსენოთ, რომ ველევის საზოგადოებას აკრავს ისეთი სოფლები (მაგ. შხვანა), რომელიც 10—12 ვერსის მანძილზედ იქნება ამბროლაურიდგან. ამასთან ისეთი ქარ-ბუქი იცის ზამთრობით ამ სოფლებში, რომ თითქმის რამდენსამე ხანს შესწყდება ხოლმე მიმოსვლა. წესის საზოგადოება-კი ზედვე აკრავს ამბროლაურისას და მათ შორის მხოლოდ მდ. რიონი ჩადის. (ვ. ქიქინაძემ როგორ გამოიყვანა ექვსი ვერსი წესისა და ამბროლაურს კანცელარიებს შუა, როდესაც მათ შორის მდებარე ეტლის გზის ბოძები ნათლად გვ ჩვენებს მხოლოდ 3 ვერსსა?).

ახლა თვით მკითხველმა განსაჯოს, რომელმა საზოგადოებამ უნდა გადასწიოს თავისაკენ სასკოლო ბინა? წესისამ, რომელიც ორს-სამს ვერსზედაა მოშორებული ამბროლაურს და უძევს საეტლო გზა, თუ ველევისამ, რომელიც 10—12 ვერსზეა მოშორებული, და რომელსაც არამც თუ საეტლო, სათხილამურო *) გზაც არ ეშოვება ზამთრობით?

აქ ამბროლაურის საზოგადოებას ბევრი არა ეკითხება-რა, რადგან ის ამ ორს საზოგადოებათა შუა მდებარებს. ბ-ნი ვ. ქიქინაძე-კი სულ ამბროლაურის საზოგადოების ხსენებაშია და ველევისას-კი ბანზედ აგდებს...

ამ საშუალო ალაგის ასარჩევად რამოდენჯერმე იყო მართლაც კრება, მაგრამ დღესაც ვერ შეთანხმებულან. წესს დაუჟინია უწინდელი ამორჩეული ალაგი სოფ. ხიმში; ველევი-კი იძახის: საშუალო ალაგი კრიხულას ხიდი იქნებაო. (ეს ალაგი ორის ვერსის მანძილზედაა ამბროლაურიდგან, წესიდგან-კი 5 ვერსისა). სიმართლის აღლით რომ გაზომოს კაცმა, საშუალო ალაგი ეს უკანასკნელი იქნება, მაგრამ წესის საზოგადოება არამც თუ კრიხში, ამბროლაურში გასვლასაც არა ჰკადრულობს; ჩვენთვის ხიმშის ჭალა იქნება ახლოსო და იქ უნდა დაარსდეს სკოლაცა და კანცელარიაცო“. ეს ხომ „სულ მე და შენ არაფერი“ გამოდის! მაგრამ არც სულ მათ ნებაზედ იქნება საქმე. მთავრობა კარგად გაზომავს, ასწონ-დასწონავს, სად უფრო შუა და მოხერხებული ალაგი იქნება. ჩვენ ჩვენის მხრივ ამას ვიტყვით, რომ ხიმში არ არის მოხერხებული ალაგი, ერთი იმიტომ, რომ მეტად განაპირებულია და, მეორე, იმით, რომ ალაგიც ვიწრო და ვლახა ნიადაგისაა (რიონის ნავალი რიყეა, სულ ქვებით სავსე), კრიხის ჭალაშიაც ნამეტანი უდაბური ალაგია და იგივე სივიწროვე დაგვხვდება წინ.

თ-დი მაჩაბლების ნამოსახლი, მისი მოედანი და ზვრები, მდებარე სოფელს ამბროლაურში, წარმოადგენს ერთს მთელს ვაკე, გაშლილს ფართო ნახევარ-კუნძულს, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ ჩაუდის მდ. რიონი და სამხრეთ-დასავლეთით—მდინარე კრიხულას ანკარა წყალი. ეს ალაგი ადრიდგანვე ყოფილა საშუალო წერტილი ქვემო რაჭას და ამიტომ მუდამ ყოფილა და დღესაც არის აქ რამდენიმე დუქანი, მაღაზია ფეხსაცმელებისა და ფართლეულობისა და სამჭედლოები. ეს გაშლილი მოედანი ეხლა ბ-ნ მ. გიორგობიანს ეკუთვნის და ის არასოდეს უარს არ იქნება ადგილი მიაქირავოს, ან მიჰყიდოს საზოგადოებას; რამდენადაც გამიგონია იმისი ახლო ნათესავებისაგან, ბ-ნი გიორგობიანი მუქთადაც ჰპირდებაო სკოლას და საავადმყოფოს საკმარისს ადგილსო. ძლიერ კარგადაც იქნებს, ამიტომ, რომ, სამადლო და საქველო საქმეს გარდა, ეს სრულიად ეთანხმება მისს პირად ინტერესებს (ფასი დანარჩენის ადგილისა აიწევს და, თუ დაბა გაკეთდა, შემოსავალს ხომ მეტს შემოიტანს).

ამ ალაგს დღეს იმყოფება ამბროლაურის საზოგადოების კანცელარია და სკოლა, იქვეა გამართული აფთიაქი ბ-ნ მაჭარაძისა, აქა სცხოვრობს პოლიციის ბოქაული, მომრიგებელი მოსამართლე და აქვეა გადაწყვეტილი, რომ უნდა დაარსდეს საავადმყოფო. შარშან, როცა ბატონი გუბერნატორი გაღმობრძანდა და ინახულა ეს ალაგი, იმდენად მოიწონა, რომ მთელი რაჭის სამმართველოს გადმოტანის სურვილიც-კი განაცხადა. „ონის ალაგი ამას უნდა ექიროსო და ონში შეიძლებოდა სასამართლოს განყოფილების გამართვაო“.

ერთად-ერთს წუნს იმასა სდებენ ამბროლაურს, რომ იქ წყაროს წყალი ხაშმიანიაო და ცივებას აჩენსო. განა ეს საბუთი შესაწყნარებელია? ვინ აძალებს მცხოვრებლებს, მაინცა და მაინც დამპალი წყაროს წყალი სვითო? იქვეა რიონი და იმაზედ არა ნაკლები საკამახე მდინარე კრიხულაცა. რომლის წყალიც ენებოთ, ის მიირთვან. მართალია, დაბალი ალაგია და ჰავა ზაფხულობით ცხელია, მაგრამ განა რაჭაში ისეთი ცხელჰავიანი ალაგი მოიპოვება, რომ ცხოვრება გაძნელდეს? რა სათქმელია!

ახლა თვით მკითხველმა განსაჯოს, რამდენად კარგი იქნება, რომ ასეთს შუა და მოხერხებულს ალაგს ასცდეს სოფლის სამმართველო, ორკლასიანი (ვგონებ ნორმალური) სასწავლებელი, რომელსაც აგრონომიული განყოფილებაც უნდა ჰქონდეს. ან მასწავლებლისთვის რას ემსგავსება, რომ ასეთი ყოველ-გვარ საშუალებიანი და მოხერხებული ალაგი გაიცვალოს მოუხერხებელ და მიყრუებულს უდაბურს ალაგში?!.

ს. დათეშიძე

## რუსეთი

წლითი-წლობით მოსკოვს თან-და თან უფრო მნიშვნელობა ეძლევა ნიჟეგოროდის იარმუკაზე და ეხლაც უმეტესი ნაწილი აღებ-მიცემობისა იარმუკაზედ უფრო მოსკოვის ვაჭრების ხელშია. ამის გამო მოსკოვის ვაჭართა შორის ეხლა უფრო დაჟინებით ლაპარაკობენ ნიჟეგოროდის იარმუკის მოსკოვში გადატანის შესახებ. ამ ჟამად მოსკოვში დაწვრილებით პროექტს არდგენენ სტატისტიკურის ცნობებით იარმუკის გადატანის შესახებ და ამ პროექტის შემადგენელთ განზრახვა აქვთ იგი ფინანსთა მინისტრს წარუდგინონ განსახილველად.

—

ამ თორმეტის წლის წინად კიევში დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებას აზრადა ჰქონდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში რუსული წერა-კითხვა გაევრცელებინა და ზნეობასარწმუნოებრივ განათლებისათვის ხელი შეეწყო. ამ აზრის განსახორციელებლად საზოგადოებას დაუდგენია: შეძლებისა-და გვარად შემწეობა აღმოეჩინოთ არსებულ სასწავლებელთ და აგრეთვე იმ სასწავლებლებს, რომელიც მომავალში დაარსდება; ხელი შეუწყოს მოზრდილთათვის კერძო კლასების დაარსებას საერო სასწავლებლებთან; გულმოდგინე შრომისათვის ფულით დაასაჩუქრონ ხოლმე სოფლის მასწავლებელნი და ღარიბ შეგირდებს-კი დახმარება აღმოუჩინონ; ხალხის საკითხავად დაჰბეჭდოს სამოსწავლო და საკითხავი წიგნები, სამოსწავლო მთავრობის ნებადართვით; ვინც უფრო კარგ სახალხო წიგნს დასწერს, ჯილდო მიეცეს. წიგნების და სახალხო საკითხავად ჟურნალ გაზეთების გასავრცელებლად საშუალებანი მოიძებნოსო, მაგალითად: საერო სასწავლებელში იაფფასად, თუ შეიძლება, უფასოდაც დათმობილი წიგნები დაუგზავნოს. დაარსდეს სასწავლებლებთან წიგნების საწყობები; შუამდგომლობა იქმნას დაწყებული, რომ სასწავლებლებს წიგნები დაურიგდეთ, წიგნთ-საცავები იქმნას დაარსებული და სხ. წევრები კენჭის ყრით ამოირჩევიან, ამორჩეული იქნება ისა, რომელსაც $^2/_3$ კენჭი ამოუვიდა საზოგადო რიცხვისა. ყოველმა წევრმა წელიწადში 10 მანათი უნდა გადიხადოს.

—

„Цер. Вѣст.“-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი.

სამართლიანია თუ არა, ჰკითხავენ სასულიერო ჟურნალის რედაქციას, შემდეგი საქციელი ბლაღოჩინისაო: მრევლმა სთხოვა თურმე თავისს მღვდელს, რომ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად წირვა გადაგვიხადეო, მაგრამ ის-კი აღარ შეატყობინა, რომ ამ წირვისათვის ადგილობრივი ბლაღოჩინიცა ჰყავდათ მოწვეული. დანიშნულ დროს მღვდელმა წირვა დაიწყო. კვეთა გაათავა და «ნეტარ არსს» რომ ჰგალობდენ, ბლაღოჩინიც მოვიდა. მოსვლის უმალვე განკარგულება მოახდინა, წირვა შეეჩერებინათ. მედავითნეს უბრძანა, ხელახლად მეექვსე ჟამის კითხვა დაიწყეო, თითონ-კი ლოცვების კითხვასა და შემოსვას მიჰყო ხელი. შემდეგ მთავარს უბრძანა ხელახლად დაიწყე კათაკმეველთა წირვაო.

რედაქციამ ეს კითხვა უპასუხოდ არ დასტოვა:

ამ მოწერილს ამბავს, რომ დიდად პატივცემულის კაცის ხელი არ ეწეროსო, ნათქვამია რედაქციის შენიშვნაში, ჩვენ უეჭველად ყოვლად დაუჯერებელი გვევონებოდა, იმდენად უცინაურია ბლაღოჩინის მოქმედებაო. ის საკითხავი-კი სამართლიანია თუ არა ასეთი საქციელიო, რასაკვირველია, ადვილი მისახვედრია, რადგანაც აშკარაა, რომ ასეთი მოქმედება არამც თუ სამართლიანი არის, არამედ მართებულობის წინააღმდეგიც-კია. სასულიერო კონსისტორიის წესდების მე-180 მუხ. ძალით, წირვის შემჩერებელ მღვდელს ღირსება უნდა აეხადოს და მედავითნეს თანამდებობაზედ დაინიშნოს.

—

პეტერბურგის ერთს გაზეთს ერთხელ კორექტორი დასჭირდა თურმე. ამ თა-

---

*) იხ. «ივერია», № 191.

*) თხილამური ფეხებზედ ამოსაკრავი გაბანდული წრეა, რომელიც ეხმარება კაცს თოვლში სიარულის დროს.

ნამდებობის მსახურეელთა შორის აღმოჩნდნენ: ბრალმდებლის თანაშემწედ ნამყოფი, სასამართლოს გამამჟღავნებელი, რამდენიმე მოხელე, ორი მემამულე, ერთი პოდპოლკოვნიკი და ერთიც ქალაქის მოურავად ნამყოფი. ეს ამბავი არც თუ საკვირველია. რუსეთში არიან აზნაურშვილები და უნივერსიტეტის რამდენიმე კანდიდატიც კი, რომლებიც „ურიადნიკის" თანამდებობას ასრულებენ. სარატოვის გუბერნიაში მაგალითად, სასოფლო მწერალთა შორის ბევრი კეთილშობილი კაცია და ერთს მათგანს „კოლლეჟსკი სეკრეტარის» ჩინი აქვს დამსახურებული. სჩანს, რომ რუსეთის ინტელიგენცია ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა. მაგრამ ასეთივე ამბავია ამერიკის შეერთებულ შტატებშიაც და სრულიადაც ეს არავის უკვირს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** მონარქიის მომხრე გაზეთები ძლიერ ბევრსა სწერენ ამ ჟამად ახალგაზდა ორლეანის დუკის შესახებ. არც რესპუბლიკის მომხრე გაზეთები სწერენ ნაკლებს ამის შესახებ. მაგალითად, პარიზის გაზეთ „Matin"-ში დაბეჭდილია წერილი ამ გაზეთის ერთის თანამშრომელისა, რომელსაც ლაპარაკი ჰქონია ორლეანის დუკთან. ამ ლაპარაკს დასწრებია ცნობილი გენერალი შარიეტი. ორლეანის დუკს უთქვამს ამ თანამშრომლისთვის:

„უნდა იცოდეთ, რომ ამ ჟამად ვერაფერს დაუმატებ იმას, რაცა ვსთქვი ლონდონში გრავზენდის სასტუმროში. მე იქ ყველაფერი ვსთქვი, რაც უნდა მეთქვა. მაგრამ იმის ნებას კი გაძლევთ, უთხრათ ყველას, —და ამას მეც არაოდეს არ უარვყოფ, რომ მე მოქმედების გზას დავადგები. აი ნახავთ, ნახავთ"!..

დუკმა თავისს წარმომადგენლად დანიშნა გენერალი შარიეტი, გრაფის დოსონვილის მაგიერად. ეს გარემოება მეტად მოხერხებულ საქმედ მიაჩნიათ, შარიეტი რადგანაც ძალიან უყვარს პაპს ლეო XIII და ორლეანის დუკს იმედი აქვს მისის შემწეობით მოიმხროს პაპი და მასთან ერთად მთელის საფრანგეთის კათოლიკენი. ხოლო დარბაისელ და გამოცდილ მომხრეებს მონარქიისას პაპის იმედი არა აქვთ და შიშობენ, ვაი თუ გენერალმა შარიეტმა, რომელიც მეტად ფიცხ კაცად არის ცნობილი, ორლეანის დუკს ხიფათი რამ შეამთხვიოსო. იგივე მონარქისტები მეტად შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ პარიზის გრაფის დასაფლავებას მხოლოდ ორი წარმომადგენელი დაესწრო უცხო სახელმწიფოთა—ინგლისისა და პორტუგალიისა. ამიტომ ჰფიქრობენ, რომ ევროპის მეფეებს არა ჰსურთ დაეხმარნენ ორლეანის დუკსაო. თვით ნათესავმა ორლეანის დუკისამ, ბელგიის მეფემ ლეოპოლდმა თავისი წარმომადგენელი არ გამოჰგზავნა პარიზის გრაფის დასაფლავებაზედ დასასწრებლად და გარდა ამისა მისწერა დუკს: თუ მართლა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ გინდათ იმოქმედოთ, ბელგიაში ცხოვრების ნებას ვერ მოგცემთო.

—

**ჩინეთი.** პეკინიდგან იუწყებიან, რომ ჩინეთის ერი მეტად აღელვებულია როგორც იმ მიზეზით, რომ ჩინეთის ჯარი დამარცხდა, აგრეთვე ფულის უქონლობისა გამო ჩინეთის ხაზინაში. ჰფიქრობენ, რომ ამ უკმაყოფილებით ისარგებლებენ აწინდელის მანჯურიის სამეფო გვარეულობის მტრები. ადვილად შესაძლებელია, რომ სულ მოკლე ხანში მთელის ქვეყნის ყურადღებას მიიპყრობს ჩინეთის უწესოება.

—

**კორეის ომი.** უცხოეთის გაზეთებში დაწვრილებით არის მოთხრობილი იმ ომის ამბავი, რომელიც იაპონელებსა და ჩინელებს მოსვლიათ ზღვაზედ მდინარე იალუს შესართავთან. ყველაზედ უფრო დაწვრილებულს ცნობებს გაზ. „Central News" კორესპონდენტი იწერება. ორის კვირის წინად ჩინეთის სამხედრო საბჭომ გარდასწყვიტა, რომ რადგანაც კორეში ჩვენი ლაშქარი საშიშ მდგომარეობაშია, ჯარები მივაშველოთო. მხოლოდ ხმელეთის გზით ჯარის გაგზავნა გასაჭირია, ამიტომ ვეცადოთ, იქნება ჯარი როგორმე გემებით მივიყვანოთ და ქალაქ ვი-იუსთან, რომელიც მდ. იალუს შესართავთან სდევს, გადავსხათო. მაგრამ იაპონელები მომზადებულნიც იყვნენ. სანამ ჩინელები ჯარს ნაპირზედ გადმოიყვანდნენ, იაპონელები უცბად თავს დაესხნენ და ამასთანავე ისე დააყენეს თავისს სამხედრო გემები, რომ ჩინელების ყველა ხომალდები, როგორც სამხედრო, ისე სურსათისა, ერთბაშად ჩაითრიეს ბრძოლაში. ადგილის სივიწროვის გამო ჩინელების სამხედრო ხომალდები რიგიანად ვერ მოქმედებდნენ და კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ ჩინელებს უფრო ბევრი ზარალი მოუვიდათ, ვიდრე იაპონელებს, თუმცა-კი უკანასკნელთ უფრო ნაკლები ძალა ჰქონდათ.

—

**იაპონია.** იაპონიის დედოფალი, როგორც უმთავრესი მფარველი იაპონიის „წითელის ჯვრის" საზოგადოებისა, სასახლის სხვა ქალებთან ერთად ამზადებს თურმე სხვა-და-სხვა საჭირო ნივთებს, როგორც იაპონელ ისე ჩინელ დაჭრილთათვის.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

კორეის სამინისტროების კრიზისებს დიდი კავშირი ჰქონია თვით მეფის ოჯახობასთან. მეფემ თურმე იმდენჯერ უნდა გამოიცვალოს ცოლი, რამდენჯერაც სამინისტრო გამოიცვლება. 1882 წელს მთავარ-მინისტრად დანიშნულ იქმნა მოთავე პროგრესისტთა დასისა ტაი-ვოკუნი და იმ წამსვე მეფე-დედოფალნი გაიყარნენ და მეფემ სხვა ცოლი შეირთო. რამდენსამე წლის შემდეგ ტაი ვო-კუნი გადაყენებულ იქმნა მინისტრობისაგან და მეფე ახალ ცოლს გაეყარა და ისევ ძველს შეურიგდა. მეფის საბედნიეროდ, ჯარები და სამინისტროები 5—6 წელიწად ადრე არ იცვლება.

—

იაპონიის მეფე-დედოფალმა ესლახან იდღესასწაულეს 25 წლის თავისი ქორწინება. მეფე ტახტზედ ავიდა 1867 წ., როდესაც იგი 15 წლისა შესრულდა და ახლა ითვლება ას-ოც-და-პირველ იმპერატორად აწინდელ სამეფო გვარეულობისა. მისი მეფობა მდიდარია მრავალ სხვა და-სხვა შემთხვევებით. 1868 წ. მეფის ქორწინების ერთის წლის წინად, გაუქმებულ იქმნა ფეოდალთა უფლებანი. 1872 წ. სამუალებანი ადგილობრივ ქრისტიანეთა წინააღმდეგ გაუქმებულ იქმნა და სჯულის გამო დევნა სრულიად მოისპო, ხოლო 1889 წელს დაარსებულ იქმნა კონსტიტუცია. იაპონიის აწინდელი დედოფალი, რომელიც მთელს იაპონიაში მეტად ლამაზ ქალად ითვლება, ეკიჯოს საგვარეულოს შთამომავლობისაა, ერთი იმ გვარეულობისა, რომელიც ფუჯივარას შთამომავლობისა არიან. იაპონიის მეფენი უოველთვის ამ საგვარეულოდგან ირჩევენ საცოლეს და ამავე გვარის კაცთ მისცემენ ხოლმე უეჭველად სამს უპირველესს თანამდებობას. განსაკუთრებითი დედოფლის საზრუნველი არის დიდკაცობის ქალთა სკოლა, რომელიც მან დაარსა ტოკიოში. იმ სკოლაში დედოფლისთვისაც არის სადგომი, თუმცა იშვიათად კი სცხოვრობს ხოლმე იქა. მეფე დედოფლის ნახვა უცხოელთ არ შეუძლიათ. ინგლისის საელჩოს პირველმა მდივანმა ერთხელ ძლივს მოახერხა სასახლეში შესვლა, ისიც იმის წყალობით, რომ იგი წარმომადგენელია იმ ფირმისა, რომელსაც ჩაბარებული აქვს სასახლის შეკეთება.

**

ჩინეთის იმპერატორი ესლა 24 წლისაა. ცოლი 1889 წ. შეირთო. მეუღლე დედამ ამოურჩია. ქვრივი ჩინეთის დედოფალი მანჯურელია. ვიდრემდე ამ ქალს ამოირჩევდნენ მეფის მეუღლედ, მას უნდა დაერწმუნებინა დედოფალი-დედა, რომ იგი აღჭურვილია ყოველივე იმ თვისებით და ხასიათით, რაც-კი უეჭველად საჭიროა ჩინეთის დედოფლისათვის. ჩინელთა შორის მხოლოდ უდიდესი წარჩინებულნი ეღირსებიან ხოლმე მეფის ნახვას. მეფე ძალიან იშვიათად გამოდის თავისს სასახლიდგან. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც რომელსამე ტაძარს მსხვერპლი უნდა შესწიროს ანუ როდესაც დედის სანახავად მიდის, რომელიც ჰკიდებს გარეთ სცხოვრობს ხოლმე დროებით. ამგვარ შემთხვევაში, რომელ ქუჩაზედაც გაივლის მეფე, იმ ქუჩებზედ აღკრძალულია გამოსვლა და სახლებიც დაკეტილი აქვთ იქ მცხოვრებლებს. ვაი იმის ბრალი, ვინც გაჰბედავს და გამოიხედავს ამ დროს, მაშინვე იასრს გულში გაუტარებს მეფის ერთ-ერთი მხლებელი. უცხოელთ წინადვე შეატყობინებენ ხოლმე მეფის გამოსვლას: მათ ზედიდებაინად სთხოვენ, მეფის გასავლელ გზის მოშორებით იყვნენო. მეფის ნახვა ძლიერ ძვირფას პატივად ითვლება, მეტადრე იმ მოხელეთათვის, რომელთაც სახელის და ღირსების აღდგენა სურთ. 8 ათასიდგან 20 ათას მანეთამდე აძლევენ ამ გვარ შემთხვევაში იმას, ვინც მოახერხებს და მეფეს დაანახვებს. ხოლო სასახლის წარჩინებულთ კაცთ უფრო მეტსაც აძლევენ ხოლმე.

## გასართობი

—

ერთს საზოგადოებაში ლაპარაკობდნენ ჯიბგირების მარჯვე და მოხერხებულ ქურდობის შესახებ,

— რა ძნელია ქურდისთვის, ვისიმე ჯიბიდგან საათისა, ბუჩნუთის კოლოფისა ან ხელსახოცის ამოცლაო, სთქვა ერთმა იქ მყოფთაგანმა, რომელსაც ძალიან უყვარდა უცნაურის ამბების იქა საზოგადო ყურადღების დასაპყრობად. აი მე რა დამემართა. ერთხელ თეატრში წაველი, სერთუკის ჯიბეში ქისა მედო, რომელშიაც ერთად ერთი მეტი ათ-თუმნიანი მქონდა. როდესაც თეატრის ტალანში დავდიოდი, შევამჩნიე, რომ ერთი ჯიბგირი სულ ჩემს ახლო დადიოდა, მაგრამ ქისა-კი არ ამოუცლია ჩემთვის ჯიბიდგან. შინ რომ მოველი, დამჭირდა ფული და ქისა გავხსენი. ვნახე, რომ შიგ მხოლოდ 75 მანეთი იდო. როგორ ან როდის მოასწრო ქურდმა ჩემი ათ-თუმნიანის დახურდავება და იქიდგან 25 მანეთის მოპარვა,—ეს ჩემთვის გამოცანად არის დარჩენილი.

**

ლონდონის ერთს ბრალმდებელს ვერცხლის სირჩის ქურდობა ჰბრალდებოდა. მისმა ვექილმა იმის გასამართლებლად შემდეგი საბუთი იხმარა: «ჩემს რწმუნებულს რომ სირჩა არ მოუპარავს, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ლამბაქი დაუტოვებია ქურდს. ჩემი რწმუნებული-კი, სომ მოგეხსენებათ, ბრალმდებელის და მაგას არ იზამდაო.»

**

ყომარბაზს მიუსაჯეს ათის წლით დაპატიმრება. როდესაც განაჩენი მოისმინა, მსაჯულს უთხრა:

— ბატონო მსაჯულო, ქაღალდი ვითამაშოთ და თუ წავაგებ, ერთი ორად გადამხდეს ეგ სასჯელი, ხოლო თუ მოვიგებ, ქვითნი ვიყვნეთო.

**პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | 7,45 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 1/4 | 149 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 241 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 1/2 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 194 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | 101 1/2 |
| 5% . . . . . . | — ,, | — , | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101 1/2 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99 , | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

მ. ი. ფრანცუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

# ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

# საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრულდ შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ფ. მანუჩარიანცს, ტფილისს.

(24—1297—15)


Дозволено цезнурою Тифлисъ, 17-го Сентября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.